საპაექრო სიტყვა

(სამოქალაქო საქმეზე, მოსარჩელე: ააიპ „მწვანე ალტერნატივა“, მოპასუხეები: კახა კალაძე, ილია ელოშვილი)

ჩვენი აზრით, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ბატონი ილია ელოშვილის და ბატონი კახა კალაძის განცხადებები არ არის ცილისმწამებლური, მცდარი ინფორმაციის შემცველი და პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი. აღნიშნული განცხადებები წარმოადგენს მხოლოდ მოსარჩელის მიერ განხორციელებულ შესაბამის ქმედებებზე ადექვატურ პასუხს.

აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე (მიუხედევად იმისა თუ რა მიზნები და ამოცანები აქვთ დეკლარირებული წესდებაში და ასევე მოსარჩელეს არ წარმოუდგენია აღნიშნული საქმიანობის რეალურად განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) მუდამ ეწინააღმდეგება საქართველოში ენერგეტიკულ პროექტებს (მათ შორის: „ხუდონი“, „აჭარისწყალის კასკადი“, „ჭოროხის კასკადი“ „დარიალი“, „ყაზბეგი“, „ფარავანი“ და სხვა) ეწინააღმდეგება (ყველაზე ხშირად ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას). ყოველივე აღნიშნულიდან და მოსარჩელის რადიკალური ქმედებებიდან გამომდინარე ჩამოუყალიბდა საზოგადოებას და მათ შორის, ბატონ ილია ელოშვილსაც და ბატონ კახა კალაძესაც მოსაზრება, რომ მოსარჩელე უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას (ენერგო პროექტებს) რომელიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია.

აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მოსარჩელე თავისი დაუსაბუთებელი განცხადებებით და რადიკალური ქმედებებით აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მნიშვნელოვან წამოწყებებს და ცდილობს ხელი შეუშალოს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებას, მათ შორის ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. მოსარჩელე, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ენერგეტიკის მინისტრს და თანამშრომლებს ინვესტორი კომპანიის ინტერესების ლობირებაში, მოსახლეობის ზეწოლაში და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების დისკრედიტაციის მცდელობებში ხშირად ადანაშაულებს, რაზეც მეტყველებს მასმედიის საშუალებებში მოსარჩელის მიერ გამოქვეყნებული არაერთი სტატია და მათ მიერ გაკეთებული აზრს მოკლებული შეფასებები, მათი მონაწილეობით ჩატარებული ქუჩის საპროტესტო აქციები, რომლის ერთ-ერთი მაგალითია აქცია - "არა ხუდონჰესს და სხვა დიდ ჰესებს". ყოველივე ეს კი მეტყველებს მოსარჩელის მიერ წამოწყებულ აშკარა რადიკალურ და უარყოფით კამპანიაზე, რაც სახელმწიფოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროექტების განხორციელების ხელისშეშლაში გამოიხატება.

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საკართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს მცდარ ფაქტებს მოსარჩელის შესახებ, არ შეესაბამება სინამდვილეს და რომ ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა. ვინაიდან მოპასუხის მიერ გაკეთებული განცხადებები შეესაბამება სინამდვილეს, არ არის მცდარი ფაქტების შემცველი და შესაბამისად ზიანს ვერ მიაყენებს მოსარჩელის საქმიან რეპუტაციას, ამასთანავე, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მოსარჩელე ვერ ასაბუთებს რომ მოპასუხის მიერ გაკეთებული განცხადებები არის ცილისმწამებლური და აგრეთვე ვერ ასაბუთებს თუ რა ზიანი მიადგა მოსარჩელეს. ვაცხადებთ, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული არგუმენტები, რაც საფუძვლად უდევს სასარჩელო მოთხოვნებს არის მცდარი და საფუძველს მოკლებული. ბატონი კახა კალაძის და ბატონი ილია ელოშვილის განცხადებები არ წარმოადგენს იმ სამართალურთიერთობის წარმოშობის საფუძველს, რომლისთვისაც მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, ჩვენს შემთხვევაში კი, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ვერ ასაბუთებს თუ რა ზიანი მიადგა მას აღნიშნული განხადებებით - სახეზე არ არის ბრალეული ხელყოფა.

უფლებამოსილი წარმომადგენლები

ირაკლი თავართქილაძე _____